



3002258518

მიღება-ჩაბარების აქტი № 3002258518



რეგიონი	თბილისი
---------	---------

დასრულების თარიღი	05/04/2018
-------------------	------------

<b>დოკუმენტი:</b>			
რეგისტრაციის ნომერი:	1002158118	მომსახურების ტიპი:	დაჩქარებული
რეგისტრაციის თარიღი:	13/03/2018	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:	2000317518	ხელშეკრულების თარიღი:	13/03/2018 - 27/04/2018
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	002255918		

<b>ექსპერტიზის დამკვეთი :</b>	
სახელი და გვარი:	თეიმურაზ კაციტაძე
პირადი ნომერი:	0000000000
ორგანიზაცია:	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია
საიდენტიფიკაციო კოდი:	405007200
თანამდებობა:	დირექტორი
დოკუმენტის შემომტანი:	კახაბერი ბახვახაშვილი

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო (დაჩქარებული) მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)	თანხა
135. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	400	400
			ჯამი: 400.00
			საბოლოო ფასი: 400.00

<b>შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):</b>		
გიორგი მარჯანიძე		
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომდებლობის სამმართველოს ექსპერტი		

<b>სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი</b>		<b>მიმღები პირი</b>	
  (ხელმოწერა)		(ხელმოწერა)	
		გაცემის თარიღი	



ლევან სამხარაულის სახელობის  
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5002021818

05/04/2018 6



5002021818

შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს  
დირექტორს ბნ თეიმურაზ კაციტაძეს

(ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #70)

ბატონო თეიმურაზ ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N01/104 მომართვის  
(ბიუროს 2018 წლის 13 მარტის რეგისტრაციის N1002158118) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის  
N002255918 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური

ბიუროს უფროსი



002255918

ექსპერტის დასკვნა № 002255918

**გაფრთხილება**

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

**ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი**

ექსპერტიზის სახეობა:

**დამნიშნავი :**

ორგანიზაცია: შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: ქ. თბილისი. კოსტავას ქ. #70

სახელი და გვარი: თეიმურაზ კაციტაძე

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები :**

გიორგი მარჯანიძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომდეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 34 წლის სტაჟით.

**ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები**

გთხოვთ, დაჩქარებული წესით უზრუნველყოთ წერილის დანართით წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და მოგვიმზადოთ შესაბამისი საექსპერტო დასკვნა.

შემოსვლის თარიღი: 13.03.2018წ.

გასვლის თარიღი: 05.04.2018წ

**დასკვნა**

ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 455 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 50.05.33.136) განთავსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. შენობებს დაზიანებათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნება IV ხარისხის (მძიმე) დაზიანებები. აღნიშნული დაზიანებებით შენობა საექსპლუატაციო ვარგისიანობის მიხედვით განეკუთვნება III კატეგორიას. იგი უეცარი დანგრევის შესაძლებლობების თვალსაზრისით ადამიანთა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია. შენობის ტექნიკური მდგომარეობა ფასდება მწვავე ავარიულად და შემდგომი ექსპლუატაცია მიჩნეულია მიზანშეუწონლად, რის გამოც რეკომენდირებულია მისი დემონტაჟი.

გიორგი მარჯანიძე

**გამოკვლევა**

2018 წლის 23 მარტს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოში, სახელმწიფოს საკუთრებაში





002255918

ექსპერტის დასკვნა № 002255918

არსებული 455 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 50.05.33.136) განთავსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა.

შენობა წარმოადგენს I კლასის ერთსართულიან ნაგებობას. იგი აშენებულია აგურის ჩანართებით ძირითადად ყორექვის ცემენტ-ქვიშის ხსნარის დულაბზე ნაშენი, 40 სმ-ი სიგანის განივი და გრძივი მზიდი კედლებით. შენობის ზომები გეგმაში შეადგენს 6,40 X 7,40 მ-ს, სიმაღლით სახურავის გარეშე (რადგან დღეს იგი შენობას აღარ გააჩნია) საშუალოდ 3,50 მ-ი. შენობის კონსტრუქციული ელემენტებიდან დარჩენილია მხოლოდ კედლები (იხ. ფორტო 1;2). სახურავის კონსტრუქცია უცნობია, იმის გამო, რომ იგი მთლიანად დანგრეულია. კედლებზე ღიობების თავზე ზღუდარებად გამოყენებულია რკინაბეტონის შემკრავი სარტყელი (იხ. ფორტო 3). უცნობია იატაკების მასალაც, რადგან ის დაშლილია და შენობის შიგთავსი დაფარულია ეკალბარდებით (იხ. ფორტო 4).

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: შენობა მთლიანად ამორტიზირებულია. კედლების ნაწილი დანგრეულია. დაშლილია სახურავი და იატაკი, შემკრავი რკინაბეტონის სარტყელი. დღეისათვის შენობა ფუნქციონალურად გამოუსადეგარია და მისი აღდგენა-გაძლიერება არარენტაბელური. მისი დარჩენილი ფრაგმენტები გარკვეულწილად ადამიანებისათვის საფრთხის შემცველია (შიეიდლება მოხდეს უეცარი ნგრევა) და მიზანშეწონილია მისი დემონტაჟი.

გიორგი მარჯანიძე

#### გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003 „Правила обследования несущих строительных конструкций зданий и сооружений“;
2. 35. 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“;
3. СНИП 2-03. 01-84\* „ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები“.
4. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“. თბილისი 1992 წ.
5. „ევროპის მაკროსეისმური სკალა 1998. EMS-98“. რედ. გ. გრუნტალი. ლუქსემბურგი 1998 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია



002255918

ექსპერტის დასკვნა № 002255918

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4